ანგარიში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ფინანსური ხარჯვის შესახებ

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური უზრუნველყოს სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამების მართვას და მათ განხორციელებაზე კონტროლს.

სამსახური ადმინისტრირებას უწევს 26 პროგრამას, რომლებიც მოიცავენ ჯანმრეთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებს, პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანიი ოჯახების, ახალშობილების, შშმ პირების, მძიმე საცხოვრებელი და ეკონომიკურ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენებით დაზარალებული ოჯახების, დევნილთა და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას პროგრამით გათვალისწინებული ყოველთვიური დახმარებით საშუალოდ 104 ოჯახი სარგებლობს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 529,5 ათასი ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 538,5 ათასი ლარი. ამ ხარჯებიდან ოჯახებსა და ბავშვების სოციალურ დაცვას მოხმარდა 101,755 ათასი ლარი, სამედიცინო მმსახურების თანადაფინანსებას 326,7 ათასი ლარი, დევნილთა დახმარებას 6,450 ლარი, მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 80,340 ლარი, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის ბძოლაში დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს 22,230 ლარი და დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯი 1000 ლარი. სუბსიდიის მუხლიდან დაფინანსდა ა(ა)იპ განათლების ,,დღის ცენტრი“, 13000 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 53,124 ლარი და ა(ა)იპ გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია 3850 ლარი (შშმ პირთა რეაბილიტაციის კურსის მომსახურების) სულ 69,974 ლარი. საქონელი და მომსახურება 180 ლარი, დანარჩენი მიმდინარე ხარჯი 2,99 ლარი (ვალდებულების კლება 27,746 ლარი, აქედან დევნილთა დახმარება 4,400 ლარი, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები 600 ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 14,4 ლარი, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 7080 ლარი და 1300 ლარი ბინის ქირა).

აღნიშნული თანხები მოხმარდა ბიუჯეტით გათვალიწინებული სოციალური პროგრამების დაფინანსებას, რომლის ფარგლებში დახმარება გაეწია მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფ, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლების შედეგად დაზარალებულ 45 ოჯახს. ამ მხრივ ერთჯერადი ფულადი დახმარების თანხამ 80,340 ლარი შეადგინა (ვალდებულებების კლება 1300) ხოლო ვალდებულებების ჩათვლით 81,640 ათასი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილთა დახმარების თანხამ ვალდებულებების ჩათვლით (4400 ლარის კლებით) შეადგინა 10850 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარებით ისარგებლა იძულებით გადაადგილებულმა 5 პირმა თანხით 650 ლარი. საანგარიშო წერილში ფულადი დახმარების სახით 22 230 ლარი მიიღო საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებმა.

2017 წლის განმავლობაში ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვას მოხმარდა სულ 101 755 ლარი, ამ მომსახურებით ყოველთვიურად სარგებლობს დაახლოებით 104 ოჯახი. ყოველთვიური დახმარების სახით ისარგებლა 27 მრავალშვილიანმა ოჯახმა და მიიღო 34,225 ლარი, ახალშობილთა 93 ოჯახმა 18600 ლარი, 0-დან 18 წლამდე ასაკის სშმ პირთა 56 ოჯახმა კომუნალური მომსახურებისათვის 2010 ლარი, დედ-მამით ობოლი ბავშვის სამმა ოჯახმა -2700 ლარი,ხანდაზმულმა სამმა მოქალაქემ ერთჯერადად (300 ლარი) სულ 900 ლარი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავთან დაკავშირებით 5000 ლარი (თითოეულს 300 ლარი, სათბობი შეშის 200ლ.), განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე პირთა ორმა ოჯახმა 3840 ლარი, მარტოხელა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისათვის გაიხარჯა 5500 ლარი.

სტაციონარულ სამედიცინო მმსახურების თანადაფინანსებასა და მედიკამენტების შეძენისათვის დახმარების მხრივ გაწეულიია 326,728 ათასი ლარი რომელიც გადაერიცხა სამედიცინო დაწესებულებასა და სააფთიაქო ქსელს. ამ მხრივ 18 წელზე ზევით ასაკის 853 ბენეფიციარმა, რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან 200 000-ის ჩათვლითაა მომსახურების თანხამ შეადგინა 125,334 ლარი. ონკოდაავადებულმა 164 მოქალაქემ ისარგებლა პროგარმის მიხედვით და მიიღო 40,597 ლარის მომსახურება, თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირებს, რომელებიც გადიან დიალეზის კურსს (9 ბენეფიციარი) ტრანსპორტირების ხარჯის დასაფარავად გადაირიცხება 11900 ლარი. ყველა ასაკის შშმ პირს სტაციონარული სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენისათვის გაწეულია 14,042 ათასი ლარის დახმარება. 0- დან 18 წლის გულის თანდაყოლილი პათოლოგიით დაავადებული (7 ბენეფიციარს და ეპილეფსიით დაავადებულ 7 პირს გაწეული სამედიცინო

მომსახურებისათვის სამედიცინო დაწესებულებას გადაერიცხა შესაბამისად 885 და 1904 ლარი, ხოლო ჰემოფილიით დაავადებულმა სამმა ბენეფიციარმა კი მიიღო 1400 ლარის ფულადი დახმარება. დახმარებას იღებს შესაბამისი კვების პროდუქტების შესაძენად ფენილკეტონურიიით დაავადებული 3 პირი, რომლის წლიურმა ხარჯმა შეადგინა 12 000 ლარი.

სამსახური, გარდა ზემოთ აღნიშნულისა მთელი წლის განმავლობაში ჩართული იყო სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ ქტივობებში. მონაწილეობდა სხვადასხვა კომისიების მუშაობაში, შესწავლილი იქნა სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული რამდენიმე ათეული და სხვა კატეგორიის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელთაგან დახმარებული იქნა , როგორც მატერიალური ასევე ფულადი ფორმით.